სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

22 ივლისი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/70

ბსუ-ს 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. 2025-2026 სასწავლო წელს ბსუ-ს სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ლაბორატორიული სამუშაო) საბაკალავრო, საბაკალავრო-სამაგისტრო, ერთსაფეხურიან, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე (გარდა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისა) წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

1.1. **შემოდგომის სემესტრში:**

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს 2025 წლის 22 სექტემბერს და დასრულდეს 2026 წლის 17 იანვარს;

ბ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია ან/და ცვლილებების შეტანა (სასწავლო კურსების რეგისტრაცია/არჩევა) დასრულდეს 2025 წლის 14 სექტემბერს;

გ) საშობაო არდადეგები - 2025 წლის 29 დეკემბრიდან 2026 წლის 9 იანვრამდე;

დ) ძირითადი გამოცდები - 2026 წლის 20 იანვრიდან 7 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები - 2026 წლის 9 თებერვლიდან 14 თებერვლის ჩათვლით.

1.2. **გაზაფხულის სემესტრში:**

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს 2026 წლის 9 მარტს და დასრულდეს 2026 წლის 20 ივნისს;

ბ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია ან/და ცვლილებების შეტანა დასრულდეს 2026 წლის 28 თებერვალს;

გ) ძირითადი გამოცდები - 2026 წლის 22 ივნისიდან 11 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები - 2026 წლის 13 ივლისიდან 18 ივლისის ჩათვლით;

დ) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება - 2026 წლის 20 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით;

2. სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ ლაბორატორიული სამუშაო) ჩატარდეს ყოველ დღე, გარდა შაბათ-კვირისა (საჭიროების შემთხვევაში

დასაშვებია ამ მიზნით შაბათის გამოყენება), ფაკულტეტზე შემუშავებული სასწავლო ცხრილების შესაბამისად. აკადემიური საათი განისაზღვრება 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი/შესვენება - 10 წუთით.

3. წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრულ 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი აქტი გამოიცეს ბსუ-ს რექტორის მიერ.

4. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის (თანდართული უქმე დღეების ჩამონათვალით) ცხრილის შედგენა და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა.

5. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარიასთან) და ფაკულტეტების დეკანების ოფისებთან თვალსაჩინო ადგილებზე, ბსუ-ს პორტალზე, ბსუ–ს ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე, ასევე სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ–ს რექტორის მოადგილეებს, ყველა სტრუქტურულ ერთეულს და მართვის ორგანოს.

6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.~

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არაშიძე**